

შპს „იმედი“-ს

(228922476)

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქ. თბილისი



ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია საწარმოს შესახებ

შპს „იმედი“ (ს/ნ 228922486) რეგისტრირებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად 2000 წლის 25 იანვარს. საწარმოს იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. დმანისი, წმინდა ნინოს ქ.#6, მართვის ადგილია ქ.თბილისი, რუსთავის გზატკეცილი #36. საწარმოს 50% წილის მფლობელია ნატო ციხელაშვილი და 50% ფლობს ანა ციხელაშვილი. საწარმოს დირექტორია მარინა ჩიგოგიძე.

საზოგადოების ძირითადი საქმიანობის საგანს წარმოადგენს ფარმაცევტული პრეპარატების წარმოება-რეალიზაცია (NACE 21200)

საქმიანობის არეალს წარმოადგენს: საქართველოს ტერიტორია.

„წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს ფარმაცევტულ საწარმოთა GMP (კარგი საწარმოო პრაქტიკის) სტანდარტზე გადასვლას, საწარმომ 2022 წლის ოქტომბრიდან შეაჩერა ფარმაცევტული პროდუქტის წარმოება, აღნიშნული სტანდარტით წარმოების დამადასტურებელი დოკუმენტის მოპოვებამდე.

2. მომზადების საფუძველი

2.1 შესაბამისობა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად.

საწარმოსათვის 2021 წლის ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისად ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მოიცავს შესადარის ინფორმაციას 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2.2 ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე, ასევე ითვალისწინებს ფინანსურ მაჩვენებლებსა და სხვა ძირითად ფაქტორებს უწყვეტობის შესახებ დაშვებების ადეკვატურობის შეფასებისას. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ საწარმო მომავალში დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას საქმიანობის პროცესში.

2.3 ფუნქციონალური და საპრეზენტაციო ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.



საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რიცხვები დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე ლარში.

3. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა

3.1 აღრიცხვის საფუძვლები

სააღრიცხო პოლიტიკა ემყარება და მისი შემუშავებისას გამოყენებულია კანონი „მეწარმეთა შესახებ“ და კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ, მის ფასს სტანდარტებში, საგადასახადო და ფინანსური აღრიცხვის განსხვავებები. საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება ანგარიშთა გეგმიდან დადგენილი სტრუქტურის შესაბამისად, ჯგუფისა და განყოფილების დაცვით ელექტრონულად საბუღალტრო პროგრამა „ორისში. საწარმო მიეკუთვნება მე-3 კატეგორიას და ყველა პროცედურა ხორციელდება წაყენებული მოთხოვნებისა და აღრიცხვის ისეთი პოლიტიკით, რომ შესაბამისობაში მოდიოდეს ანგარიშგებასთან.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული (პირვანდელი) ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურეობის სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას. საწარმო აქტივებს და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი ციკლის განმავლობაში.
- მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის ვადაში.
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს. თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა სხვა აქტივი კლასიფიცირდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ნორმალურ საოპერაციო რეჟიმში.
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის გადავადების უპირობო უფლება

ყველა დანარჩენი ვალდებულება გრძელვადიან კატეგორიას მიეკუთვნება.

3.2 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილი უნდა იქნას საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის ოფიციალური - ეროვნული ზანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად.



უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილი უნდა იქნას თავდაპირველი ოპერაციების მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

აშშ დოლარი	31.12.2022-2.7020	31.12.2021-3.0976
ევრო	31.12.2022-2.8844	31.12.2021-3.5040

3.3 შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

ყველა შემოსავლისა და ხარჯის აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოძინება საწარმოში, ან შესაბამისად გადინება. შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად გადახდის დროის მიუხედავად. შემოსავლების შეფასება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდის გათვალისწინებით და გადასახადების გამოკლებით.

შემოსავლების აღიარება მათი სახეობების მიხედვით ხორციელდება შემდეგნაირად:
შემოსავალი მომსახურებიდან

მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მომსახურება გაწეულია და ჩაბარებული მხარეთა მიერ.

3.4 იჯარა

ბასს 17-ის მიხედვით, როდესაც საწარმოს აქვს საიჯარო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით აქტივის მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა სარგებელი და რისკი გადაეცემა მოიჯარეს, მაშინ გარიგება ითვლება ფინანსურ იჯარად, სხვა შემთხვევაში - საოპერაციო იჯარად. საწარმოს საიჯარო ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე გარიგებები კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად. შესაბამისად, საწარმოს იჯარით აღებულ ქონებაზე გადასახდელები აღიარებულია ხარჯად, ხოლო ქვეიჯარიდან მიღებული შემოსავლები - (არსებობის შემთხვევაში) შემოსავალში შესაბამისი წლის მოგება-ზარალში.

3.5 ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება ფასდება მათი შესყიდვის ფაქტობრივ ხარჯზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს შესყიდვის ფასს, შესყიდვის არაანაზღაურებად გადასახადს და ნებისმიერ პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯს, რომელიც უშუალოდ უკავშირდება აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ძირითადი საშუალებები აისახება თვითღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.



ცვეთა

ფასს-ის მიზნებისთვის ცვეთის აღიარება მოგება-ზარალში ხდება ცვეთის დარიცხვის შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით (წრფივი მეთოდით), რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მისაღები სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისება. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოყენებისთვის და ერიცხება სარგებლობაში არსებული ვადის პროპორციულად. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განსაზღვრულია:

1. მანქანა დანადგარებისათვის 10 წელი
2. საოფისე აღჭურვილობა და ავეჯი 5 წელი

აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა გადაიხედება ყოველწლიურად და დაკორექტირდება საჭიროებისამებრ.

აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ძირითადი საშუალებების აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლობის მიღება არაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი გამოითვლება, როგორც სხვაობა გასხვისებიდან მიღებულ (მისაღებ) წმინდა შემოსულობისა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება მოგება-ზარალში.

3.6 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები განისაზღვრება მოხმარების ვადით, აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო ვადის მიხედვით.

1. საბუღალტრო პროგრამული უზრუნველყოფა
ხორციელდება „ორის“ ბუღალტრული პროგრამის გამოყენებით

3.7 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები თავდაპირველი აღიარების დროს ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს მარაგების შემენის ხარჯებს, ასევე ტრანსპორტირების, საბაჟოს და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასაქონლო მატერიალური მარაგი აისახება - მასალები, საწვავი, სათადარიგო ნაწილები.

3.8 ფინანსური ინსტრუმენტები



საწარმო ფინანსური ინსტრუმენტებს აღრიცხავს ბასს 39-ის მოთხოვნების შესაბამისად.

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება მას შემდეგ, რაც საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტი შესახებ ხელშეკრულების მონაწილე.

ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით. საწარმომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა არსებული საბაზრო ინფორმაციისა და შეფასების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული იყო შემდეგი მეთოდები და დაშვებები:

ფულადი სახსრების, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების, სავაჭრო და კრედიტორული დავალიანებების სამართლიანი ღირებულება დიდწილად ტოლია მათი საბალანსო ღირებულების, ამ ინსტრუმენტების დაფარვის მოკლე ვადის გამო.

გრძელვადიანი პროცენტიანი სესხების სამართლიანი ღირებულება ფასდება სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებით, ანგარიშგებით თარიღისათვის არსებული საბაზრო განაკვეთებით, რომელთა სამართლიანი ღირებულება დაახლოებით ტოლია მათი საბალანსო ღირებულების.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი წილი გადადის მესამე მხარეზე.

საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში.

საწარმოს მიმდინარე საანგარიშო პერიოდში გააჩნია დროებითი ანაზარი საკრედიტო ორგანოში: 100820 (272415.64 ლარი) აშშ დოლარისა და 175090 ლარის ოდენობით, საპროცენტო სარგებლის მიღების მიზნით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

საანგარიშგებო თარიღისათვის საწარმო აფასებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური ნიშნების არსებობას. ფინანსური აქტივი გაუფასურებლად განიხილება მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური ნიშნები ერთი ან მეტი მოვლენის შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ („ზარალის დადგომის შემთხვევა“), და ზარალის დადგომის ეს შემთხვევა გავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მოსალოდნელ ნაკადებზე, რომელთა სარწმუნო შეფასებაც შესაძლებელია. გაუფასურების არსებობის ობიექტური ნიშანი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ მევალე განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, არღვევს შესაბამისი თანხის გადახდის ვადას, არსებობს გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის მაღალი ალბათობა.



Handwritten signature

საზოგადოება აწარმოებს ფინანსური რესურსების გაუფასურების/გადაფასების აღრიცხვას. აქტივების საბალანსე ღირებულება მცირდება/იზრდება და თანხის აღიარება ხდება მოგება-ზარალში, რომელმაც 2022 წელს შეადგინა - 41198 ლარი.

3.9 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების თარიღებისათვის საწარმო აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთის შემთხვევაში საწარმო განსაზღვრავს აქტივის აღდგენით ღირებულებას. გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის აქტივების დაჯგუფება ხდება ინდივიდუალურად და როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებლად და ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე.

3.10 შრომის ანაზღაურება

შრომის ანაზღაურება წარმოებს დროითი სისტემით შრომითი კანონმდებლობისა და საწარმოს მიერ დადგენილი საშტატო განაკვეთების შესაბამისად, სანარდო ანაზღაურება.

3.11 კაპიტალი

საწარმოს საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით. ცვლილებები წესდებაში (მათ შორის საწესდებო კაპიტალში) ხორციელდება საწარმოს დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. საწარმოს საკუთარი კაპიტალი მოიცავს გაუნაწილებელ მოგებას.

4. შემოსავალი:

დასახელება	2022წელი
შემოსავალი	2171376
გაყიდვებიდან	2171376

5. რეალიზაციის თვითღირებულება

დასახელება	2022წელი
შესრულებული სამუშაოების თვითღირებულება	1804167

6. სხვა საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავალი

დასახელება	2022წელი
საპროცენტო შემოსავალი	9793
ფინანსური შემოსავალი	0



სხვა	14926

7. ადმინისტრაციული, საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯები

დასახელება	2022წელი
სამკურნალო მცენარეების რეგისტრაცია	300
მიმდინარე რემონტი	0
საბუღალტრო და აუდიტორული მომსახურება	4500
დასუფთავების მოსაკრებელი	450
სადაზღვევო ხარჯები	140
ბანკის საკომისიო	1018
სხვა საგადასახადო ხარჯი	662
დიზაინის ხარჯი	1240
საწვავი	5178
ელ ენერგია	2121
საპენსიო ფონდი	140
ბუნებრივი აირი/კონდენსატი	394
წყლის ხარჯი	524
საკონსულტაციო ხარჯი	625
სხვა	875
ხელფასის ხარჯები	34000
ცვეთა	10416
საიჯარო ქირა	8100
უკან დაბრუნებული საქონლის თვითღირებულება	1085
მარაგების კორექტირება	8271

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

8. მოგების გადასახადის აღრიცხვა

მოგების გადასახადი გაიანგარიშება 2017 წლიდან ესტონური მოდელის ახალი კანონით, საგადასახადო კოდექსის 98-ე პრიმა მუხლით. საწარმო საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

როგორც წესი, დივიდენდი ვალდებულად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც გადაწყდება მისი განაწილება. საანგარიშო პერიოდში დივიდენდის განაწილებას ადგილი აქვს - 53632 ლარის ოდენობით.



Handwritten signature in blue ink.

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, დარიცხული ფინანსური მოგების გადასახადის გადახდა ხორციელდება დივიდენდების გაცემისას, ხოლო სხვა დანარჩენ ოპერაციებზე დარიცხული „მოგების გადასახადი“ აღირიცხება როგორც „სხვა საგადასახადო ხარჯი“

დარიცხული მოგების გადასახადი-9464 ლარი

9. ფულადი სახსრების აღრიცხვა

საწარმოში ოპერაციები ხორციელდება ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით. მოქმედებს მცირე სალაროს სისტემა.

#	საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა	
1	ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში 01.01.2021	589435
1	მყიდველებიდან მიღებული ფულადი სახსრები (+)	2252896
2	მომწოდებლებსა და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები (-)	-1863445
3	გადახდილი დივიდენდი(-)	-50950
4	გადახდილი გადასახადები (-)	-22354
5	გაუთვალისწინებელი შემოსავალი (+)	3114
6	გაუთვალისწინებელი ხარჯი (-)	-705
7	მიღებული/გადახდილი ავანსი (-+)	
8	წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან (+)	318556
1	საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა	()
2	შვილობილი საწარმოს შეძენა ფულადი სახსრების გამოკლებით (-)	
3	ძირითადი საშუალებების შეძენა (-)	-34500
4	მიღებული პროცენტები (+)	9793
5	გადახდილი პროცენტები (-)	0
6	მიღებული დივიდენდი (+)	0
7	წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან (+)	-24707
1	საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა	
2	შემოსულობანი აქციათა ემისიის შედეგად (+)	
3	შემოსულობანი გრძელვადიანი სესხებიდან (+)	0
4	ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებულ ვალდებულებათა განაღდება (-)	
5	გადახდილი დივიდენდი (-)	
6	კურსთაშორისი სხვაობა(-)	-41198



Handwritten signature

7	წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან (-)	-41198
	ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს 31.12.2022	842086
	ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)	252651

10. ანგარიში საკუთარი კაპიტალის მოძრაობის შესახებ

საჩვენებლები	კოდი სტრიქონი	ნაშთი წლის დასაწყისში	შემოსულია წლის განმავლობაში	დახარჯულია წლის განმავლობაში	ნაშთი წლის ბოლოს
საწესდებო კაპიტალი	010	2500			2500
სარეზერვო კაპიტალი	020	0			0
სხვა რეზერვები და მიზნობრივი დაფინანსება	030				
გაუნაწილებელი მოგება	040	1207161	279968	98700	1388429
დაუფარავი ზარალი	050				
სულ საკუთარი კაპიტალი (სტრ. 010+020+030+040-050)	060	1209161	279968	98700	1390929

11. ძირითადი საშუალებები

#	საბალანსო ღირებულება	მანქანა დანადგარები	ავტო და ინვენტარი	ოფ.აღჭრვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყ	კონსტრუქციები (ვაგონები)	სულ
	31.12.2019	66518	494	738	1367		69118
	შემენა		3217				3217
	გასხვისება						
	ჩამოწერა						
	სხვა						
	ცვეთა	8291	299	188	171		8949
	31.12.2020	58227	3412	550	1196		63386
	შემენა						



Handwritten signature in blue ink.

გასხვისება						
სხვა						
ჩამოწერა						
ცვეთა	8291	323	188	171		8974
31.12.2021	49936	3089	362	1025		54412
შემენა	6500				28000	34500
გასხვისება						
სხვა						
ჩამოწერა						
ცვეთა	8508	323	188	171	1225	10415
31.12.2022	47927	2766	174	854	26775	78496

12. სასაქონლო მატერიალური მარაგები:

1. მასალები - 191788ლარი
2. სხვა მარაგები -2721
3. მზა პროდუქცია- 6177

13. მიმდინარე ვალდებულებები

1. სავაჭრო ვალდებულებები 27221 ლარი
2. მოკლევადიანი წასესხები თანხები 1251 ლარი
3. საგადასახადო ვალდებულება-104 ლარი
4. სხვა ვალდებულებები - 2272 ლარი

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები-282326 ლ
ავანსები-1384 ლ

31.12.2022 წლისათვის, ძირითადი (5000 ლარზე მეტი) დებიტორული დავალიანება ერიცხებოდათ კონსიგნაციის წესით მიწოდებაზე გადახდისუნარიან საწარმოებს:

- 1) შპს იმპექსფარმი-21908 ლ
- 2) შპს ფარმა -202706 ლ
- 3) ჯიპისი/გეფა-32867 ლ
- 4) ავერსი ფარმა -21218ლ



Handwritten signature in blue ink.

მოცემული ანგარიშგების პერიოდის შემდგომ 31.08.2023 წლის მდგომარეობით აღნიშნული საწარმოების დებიტორული დავალიანება შეადგენს:

- 1) შპს იმპექსფარმი-2544
- 2) პსპ ფარმა 29291 ლ
- 3) ჯიპისი/გეფა-158 ლ
- 4) ავერსი ფარმა -21218 ლ

ასევე საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ გაცემულია დივიდენდი-157895 ლარის ოდენობით და გადახდილია მოგების გადასახადი-27864 ლარი.

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	842086	589435	800915
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	282326	365605	308112
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	1384	2821	6589
მარაგები	197965	241064	415196
მზა პროდუქცია	6177	82470	35081
სხვა	191788	158594	380115
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	2721	1777	1338
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	78496	54412	63386
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	1404978	1255114	1595536
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	980	0
სავაჭრო ვალდებულებები	10422	27221	15278
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	3700
საგადასახადო ვალდებულებები	104	978	337
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0



Handwritten signature in blue ink.

მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	1251	50000	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	2272	1877	1189
სულ ვალდებულებები	14049	81056	20504
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	2500	2500	2500
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1388429	1171558	1572532
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	1390929	1174058	1575032
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1404978	1255114	1595536
სულ მოკლევადიანი აქტივები	1326482	1236305	1530812
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	14049	81056	20504

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	2171376	2038876
საქონლის გაყიდვიდან	2171376	2038876
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
გაყიდვების თვითღირებულება	-1804167	-1760619
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	367209	278257



Handwritten signature

სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-34000	-44600
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-10416	-8974
საპროცენტო შემოსავალი	9793	9828
საპროცენტო ხარჯი	0	0
იჯარის ხარჯი	-8100	-8700
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-18246	-21895
სულ საოპერაციო ხარჯები	-60969	-74341
საოპერაციო მოგება	306240	203916
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-41198	-30284
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	11203
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	14926	4173
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	279968	189008
მოგების გადასახადის ხარჯი	-9465	-20330
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	270503	168678
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0



ly

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	270503	168678
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1174058	1575032
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-53632	-567652
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	-2000
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1390929	1174058

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	318556	-191024
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-24707	9828
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	293849	-181196
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-41198	-30284
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	589435	800915
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	842086	589435

შპს „იმედი“-ს დირექტორი



მ.ჩიგოგიძე